რუსუდან მეძმარიაშვილი
საგარეო ურთიერთობების მენეჯერი

იალბუზის ქუჩა №14
თბილისი, 0144
საქართველო

ტელ.:+995 32 259 3400
www.bpgeorgia.ge

წერილის ნომერი: BP/OUT/6812/23

27 თებერვალი, 2023 წ.

ქ-ნ თ. ფიცხელაურს
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
საქ. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საგანი: დმსმ მილსადენის მდ. ყვირილას გადაკვეთიდან 1.1კმ დაცილებით დაგეგმილი ნაპირგამაგრების პროექტი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

ქ-ნო თამარ,

კომპანია ბი-პი-ს მიერ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მიმდებარედ (KP264+733) დაგეგმილ მდ. ყვირილას ნაპირგამაგრების პროექტთან დაკავშირებით (ჩვენი წინა განაცხადები სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად: 18.01.2023წ. N BP/OUT/6747/23; და 28.10.2022წ. N BP/OUT/6665/22), თქვენი 17/02/2023 N 21/1019 შენიშვნის (ჩვენი ნომერი BP/INC/1877/23) პასუხად მოგახსენებთ შემდეგს:

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში მდ. ყვირილას სხვადასხვა უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური 200 და 100 წლიანი ხარჯის შესაბამისი დონეები (ე.წ საანგარიშო დონეები) მოცემული იყო ჩვენი ბოლო განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტის (პროექტის სკრინინგის ანგარიში) ცხრილ 10-ში კვეთების მიხედვით - კვლევის დროს გამოყენებული იყო საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ აპრობირებული მეთოდოლოგია. ასევე, ანგარიშში, მოცემული მეთოდოლოგიის მიხედვით დამუშავდა მაქსიმალური გარეცხვის სიღრმეები მრუდხაზოვან უბანზე - მონაცემები მოცემული იყო ცხრილ 11-ში.

თქვენი შენიშვნის გათვალისწინებით - ნაგებობის განივ კვეთებზე დატანილი უნდა იყოს საანგარიშო დატბორვისა და კალაპოტის წარეცხვის დონეები - წარმოგიდგენთ განაცხადის კორექტირებულ ვერსიას, რომელშიც ნახაზზე დამატებით დატანილია ცხრილი 10 და ცხრილი 11-ის მონაცემები (სკრინინგის დოკუმენტი, განახლებული ნახაზი 4, გვ. 34).

გთხოვთ განიხილოთ წინამდებარე წერილით წარმოდგენილი სკრინინგის კორექტირებული განაცხადი, და იმედს გამოვთქვამთ რომ სამუშაოების მნიშვნელობის გათვალისწინებით, შესაძლო მოკლე ვადებში გვეცნობება სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ.

მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

გარემოს ეროვნული სააგენტო
„27" 02 2023
№ 1055

რ. მეძმარიაშვილი

დანართი:

- სკრინინგის საინფორმაციო დოკუმენტი
- ამონარიდი სკრინინგის დოკუმენტიდან გვ.34: ნახაზი განივ კვეთებზე დატანილი წარეცხვის და დატბორვის დონეებით
- GIS შეიპ-ფაილები - მხოლოდ CD-ზე
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის 18.11.2022 წ. N2-03/18541 წერილის ასლი
- კომპანიის ამონაწერი იურიდიული პირების რეესტრიდან
- 8.10.2021წ.-ის მინდობილობა
- 1 CD: წარმოდგენილი მყარი ვერსიის ელექტრონული ფორმატი